12/12/2020

# სალომე ზურაბიშვილი: ,,ეკლესიამ გადაარჩინა ქართველი ერის იდენტობა"



საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი მე-10 მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომის გახსნაზე წარმოთქმულ თავის სიტყვაში საქართველოს ეკლესიის როლს შეეხო:

,,სახელმწიფო ძლიერი მაშინ არის, როდესაც მას აქვს ძლიერი ინსტიტუტები. დღევანდელი თავდასხმა ყველა ინსტიტუტის მიმართ, რომელიც ჩვენი იდენტობის, დემოკრატიის, უსაფრთხოების, სტაბილურობის ღერძი და ქვეყნის მომავლის ქვაკუთხედია არის სახელმწიფოსთვის დესტრუქციული.

პატრიარქი, რომელიც ჩვენი სულიერი ენერგიისა და ეროვნული სიმხნევის წყაროა; ჩვენი ეკლესია, რომელმაც საუკუნეების მანძილზე გადაარჩინა ქართველი ერის იდენტობა და ერთიანობა, გზა გაუხსნა დამოუკიდებლობას. მათი დისკრედიტაცია ჩვენი სულიერი სიმტკიცის შერყევას ემსახურება" – განაცხადა პრეზიდენტმა.

— wenews.ge